აკადემიური თავისუფლება

აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი პრინციპია.

ბხსუ-ს ფაკულტეტები აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო კვლევებს.

აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:

- ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები.

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებისას შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში. სასწავლო კურსის სპეციალისტი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთო ქულიდან თავად განსაზღვროს შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი.

შეფასების თითოეულ ფორმაში განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. სასწავლო კურსის სპეციალისტი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სტუდენტს უფლება აქვს:

- თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება;
- დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ მატერიალური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმგვარად, რომ შეზღუდოს სტუდენტის აზრის გამოხატვის თავისუფლება ან დააწესოს ცენზურა;
  - აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი და მოწვეული სპეციალისტი ვალდებულია პატივი სცეს სტუდენტთა აზრებს, შეუქმნას მათ ყველა პირობა იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატავად, ხელი შეუწყოს განსხვავებული აზრის პატივისცემის კულტურის დამკვიდრებას.

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს 60 კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა minor, გარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებისა, რომელიც არ ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობის გავლას. დამატებითი სპეციალობის გარდა, სტუდენტს 60 კრედიტის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები/20კრედიტიანი ბლოკები ან თავისი ინტერესების შესაბამისი სასწავლო კურსები ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან.